www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 21 აგვისტო, 2012 წელი. | №3094 (187) | ფასი 50 თეთრი

ეუთო-ს დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს სწავლობს

მაგდა ლეკიაშვილი

საქართველოს ეუთო-ს საპარლამენტო დელეგაცია ეწვია. საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეული პრეზიდენტი რიკარდო მილიორი, ვიცე-პრეზიდენტი ტონინო პიცულა, გენერალური მდივანი და დელეგაციის სხვა წევრები წინასაარჩევნო პერიოდში არსებულ ვითარებას გაეცნობიან და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას დააკვირდებიან.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

შეწყვეტილებული თავდასხმა ინგუშეთში

ივა შილაკაძე

კვირას, სოფელ საგოპშიში სამგლოვიარო ცერემონიის დროს მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა 7 პოლიციელი, კიდევ 15 ადამიანი კი დაიჭრა. ისინიც, ძირითადად, პოლიციელები არიან. კრძალავდნენ შაბათს მოკლულ პოლიციელს ილეზ კორიგოვს (ის უბნის ინსპექტორი იყო), რომელსაც უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს ქალაქ მალგობეკში. ის დაიჭრა და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

"ოცნება" 7-იანის გარეშე

მაგდა ლეკიაშვილი

კოალიცია "ქართული ოცნება" წინასაარჩევნო კამპანიას ნომერი 7-ით აწარმოებს. თუმცა გუშინ, ცესკოს განკარგულებით, ბლოკ "ქართულ ოცნებას" საარჩევნო ნომრად 41 მიენიჭა. გადაწყვეტილების გაპროტესტებას კოალიციის წევრები სასამართლოში აპირებენ.

"ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება - კოალიცია "ქართულ ოცნებას" საარჩევნო ნომერი 7 წაართვა და მიანიჭა ნომერი 41," - განაცხადეს "ქართულ ოცნებაში." კოალიციის ლიდერებმა ზვიად ძიძიგურმა და სოზარ სუბარმა ცენტრალური საარჩევნო კომისია პოლიტიზირებულობაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ ცესკო მათ ხელოვნურ პრობლემებს უქმნის საარჩევნო ნომრის მინიჭებისას. ნომერი 7 "კონსერვატიული პარტიის" ძველი ნომერია. როგორც ზვიად ძიძიგური ამბობს, კოალიციის ლიდერებმა ერთხმად მოილაპარაკეს, რომ საარჩევნოდ ბლოკს სწორედ ეს ნომერი აეღო.

"ცესკო-ს ჯერ კიდევ მართავენ ხათუნა გოგორიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი. ისინი ცდილობენ, რომ 7 არ იყოს კოალიციის საარჩევნო ნომერი. არ გვაძლევენ ნომერ 7-ს, თუმცა კანონით გვეკუთვნის ეს ნომერი. მაშინ ჩამოართვან ნაციონალური მოძრაობასაც 5-იანი," - ამბობს ზვიად ძიძიგური.

მისივე თქმით, კანონის მიხედვით, კოალიციას შეუძლია გამოიყენოს იმ პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო ნომერი, რომელიც მონაწილეობდა წინა საპარლამენტო არჩევნებში. ასეთი პარტია არის "კონსერვატიული პარტია". ამას გარდა, წინა საპარლამენტო არჩევნებში 7 იყო ბლოკ "ეროვნული საბჭოს" ნომერიც.

ზვიად ძიძიგურმა და სოზარ სუბარმა აღნიშნულ პრობლემაზე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასთანაც ისაუბრეს. როგორც ზვიად ძიძიგური აცხადებს, ეუთო-ს დელეგაცია მათ პრობლემების შესწავლას დაჰპირდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

პირველი ნომერი - ბაქრაძე, პრემიერი - მერაბიშვილი

მარი ახსიაშვილი

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიის პირველი ნომერი პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იქნება, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი - ვანო მერაბიშვილი. ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე "ნაციონალური მოძრაობის" სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, სწორედ ვანო მერაბიშვილი და დავით ბაქრაძე მიიღებენ მონაწილეობას იმ დებატებში, რომლებიც მთავარი პოლიტიკური ოპონენტების სიის პირველ ნომრებთან და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატებთან გაიმართება.

"სიის პირველი ნომერი უწინდებურად დავით ბაქრაძე იქნება. არჩევნების შემდეგ კი მმართველი პარტია პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ვანო მერაბიშვილს განიხილავს," - აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

გაზეთმა "24 საათმა" "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ამ სიახლის შეფასება პოლიტიკურ ძალებს და ექსპერტებს სთხოვა. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, საარჩევნო სიის შედგენა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის არჩევანი და მათი გადასაწყვეტია.

"თუმცა, თუ საპარლამენტო მმართველობის მოდელზე ვართ, საარჩევნო სიის პირველი ნომერი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი უნდა იყოს, ანუ ის, ვინც იქნება პირველი ნომერი, უნდა გახდეს პრემიერ-მინისტრი. ამიტომ, რაც მათ შემოგვთავაზეს, ეს ცოტა უცნაური მოდელია. თუმცა, არა უშავს, აქ ბევრი უცნაური რამ ხდება. ჩვენ არც ერთს ვენდობით და არც მეორეს, სწორედ ამიტომ ვართ ოპოზიციაში. და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კარგი შედეგი ვაჩვენოთ," - უთხრა გამყრელიძემ "24 საათს".

"ქრისტიან-დემოკრატ" ლევან ვეფხვაძის შეფასებით, "ნაციონალური მოძრაობის" ეს გადაწყვეტილება სრულიად მოსალოდნელი იყო.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6446₾
1 ევრო	2.0331₾
1 ინგლისური გირვანქა	2.5817₾
1 თურქული ლირა	0.9143₾
100 რუსული რუბლი	5.1641₾

თბილისი	31°C - 18°C
ქუთაისი	27°C - 17°C
თელავი	29°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 16°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.10	+0.00	+0.12%
გაზი	2.75	+0.04	+1.27%
ოქრო	1,622.80	+5.50	+0.34%
ხორბალი	901.50	+7.00	+0.78%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

დავიწყეთ

ზურაბ თალაკვაძე

ბოსნიაში დღეს რთული თამაში იქნება. ძალიან კარგ, ჭკვიან, მოქნილ, გამოცდილ გუნდზე გავდივართ და იქ მოგება ძნელია. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაში მოსაგებია და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები უეჭველად გავა. თბილისში ტურნირი რუმინეთით გავხსენით და ბოსნიაში სხვა ამბები იქნება. იგორ კოკოშკოვის კონსპექტებში ბევრი რაღაც შემოიხაზა. საქართველოს დღევანდელ ნაკრებს ამ დონეზე ყველა თამაშის მოგება უნდა და შეუძლია კიდეც.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

თორნიკე შენგელიამ საკვალიფიკაციო ტურნირი 9 ქულით გახსნა

ნიქოზის ანიმაციური ფილმების ფესტივალი

მიზანი - ადამიანის სულის მოძრაობის ჩვენება

ბელა ჩეკურიშვილი

ალექსანდრ პეტროვი "მოხუცი და ზღვა". საფესტივალო პროგრამიდან.

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი "ნიქოზი" ტრადიციად იქცა - იგი წელს კვლავ ტარდება საქართველოში და მისი ადგილი კვლავაც გორის რაიონის სოფელი ნიქოზია. ფესტივალი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით 3 სექტემბერს გაიხსნება და 8 სექტემბრამდე გასტანს. მისი შექმნის იდეა და ინიციატივა კი ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ესაიას ეკუთვნის, რასაც წინ უსწრებდა მის მიერ ამ სოფელში სახელოვნებო სკოლის შექმნა. სახელოვნებო სკოლას ნიქოზში, დამეთანხმებით, დღეს წარმოუდგენლად დიდი ფუნქციონალური თუ იდეური დატვირთვა აქვს, სადაც სხვადასხვა საგნებს შორის 120 მოსწავლე ანიმაციას და ჩრდილების თეატრის ხელოვნებასაც სწავლობს. მათი პედაგოგები რეჟისორ გელა კანდელაკის სტუდია "კვალი XXI" და "ბუდრუგანა გაგრას" მსახიობები არიან. ფესტივალის გახსნაზე კი პაატა შენგელიას ანიმაციური ფილმის "უკანასკნელი წერილის" გვერდით ნაჩვენები იქნება ნიქოზის ბავშვთა ანიმაციური სტუდიის ფილმი "შობა".

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

მთავრობა პრეზიდენტთან

მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის სასახლეში გუშინ მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა და კახეთში სტიქიის შედეგების აღმოფხვრის სამუშაოებით დაინტერესდა. ინფორმაცია ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა ფინანსთა მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურისგან, კახეთის რეგიონში პირადი წარმომადგენლის ლევან ბეჟაშვილისა და კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილისგან მოისმინა.

ქვეყნის პირველი პირი კომპენსაციების დარიგებისა და აღდგენის სამუშაოების მიმდინარეობის პროცესსაც შეეხო და ყურადღება მოახლოებული რთველის მნიშვნელობაზე გაამახვილა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, წელს რთველი განსაკუთრებით კარგად უნდა ჩატარდეს, რისთვისაც პასუხისმგებელ პირებს მან შესაბამისი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება დაავალა. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, გადატანილი სტრესის შემდეგ, კახეთი გაძლიერებული უნდა გამოვიდეს.

"მთავარია, რთველი კარგად ჩავატაროთ. ამისთვის მნიშვნელოვანია: პირველი - არ იყოს რიგები, და მეორე - დავიჭიროთ უფრო მაღალი ფასები. ზოგადად, სოფლის მეურნეობის სტიმულირებისა და განადგურებული ვენახების ფონზე ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბაზრები არის, მსოფლიო ბაზრებზე ჩვენი ღვინის გატანა იზრდება. ანუ თეორიული პრობლემაც არ გვაქვს გაყიდვისა. მთავარია, მევენახემ ვენახის მოვლის, მოყვანის, ყურძნის გაყიდვის სარგებელი დაინახოს," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე ინფორმაციით, ყურძნის რეალიზაციისთვის თბილისში სპეციალური ბაზრობები მოეწყობა, რისთვისაც დედაქალაქის მერიასთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

სააკაშვილის თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი უნდა გახდეს ლაგოდეხიც. "აზერბაიჯანთან ჩვენი ურთიერთობის გათვალისწინებით, მას ამის პოტენციალი აქვს ისევე, როგორც წნორს. უნდა ვიმუშაოთ, რომ მომავალში წნორი რკინიგზით აზერბაიჯანს დავუკავშიროთ," - აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა კონტროლის პალატის თავმჯდომარეობიდან გადადგომისა და კახელების გვერდში დგომისთვის ლევან ბეჟაშვილს მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

ჯანდაცვის მინისტრი ცხელი ხაზის მუშაობას გაეცნო

ჯანდაცვის მინისტრმა სადაზღვევო კომპანიებში ცხელი ხაზის სერვისის ეფექტურობა პირადა შეამოწმა. ზურაბ ჭიაბერაშვილი გუშინ სადაზღვევო კომპანია "ალფას" ესტუმრა და პროცესს ადგილზე გაეცნო. მინისტრის თქმით, ცხელი ხაზის გამართულად მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა 1 სექტემბრიდან ექნება - მას შემდეგ, რაც მოსახლეობისთვის დარიგებული ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები ძალაში შევა.

სექტემბრიდან დაზღვევა მილიონამდე მოქალაქისთვის ამოქმედდება და საქართველოში სულ 2,400,000 დაზღვეული იქნება.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია - **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

პირველი ნომერი - ბაქრაძე, პრემიერი - მერაბიშვილი

პირველი გვერდიდან

"გასაგები იყო, რომ პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე სიის პირველი ნომერი იქნებოდა. არ გვქონია არარეალური მოლოდინები, რომ რამეს სხვანაირად გააკეთებდნენ. მოუტანს თუ არა ეს მათ რაიმე სიახლეს - ნამდვილად არ მგონია, რადგან შესაკრებთა ადგილების გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება. არც ის მგონია, რომ ამ სიით ამომრჩეველთა ხმები მოემატოთ ან დააკლდეთ. ჯერ ეს არჩევნები მოსაგები აქვთ. გადახტნენ და "ჰოპლა" მერე დაიძახონ," - განუცხადა ლევან ვეფხვაძემ "24 საათს".

"ქართული ოცნების" პრესსპიკერის მაია ფანჯიკიძის შეფასებით, ის, თუ ვინ იქნება სიის პირველი ნომერი, მნიშვნელოვანი არ არის.

"ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი ადრეც დავით ბაქრაძე იყო. პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარის პირველ ნომრად დანიშვნა მოსალოდნელი იყო. მერაბიშვილი კი ახლაც პრემიერია. ეს თანამდებობა აქამდე საპენსიო თანამდებობას ჰგავდა. ახლა, საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი ანუ ქვეყნის პირველი პირი იქნება, ეს კი უკვე სხვა ვითარებაა. თუმცა ყველაფერ ამისთვის ჯერ არჩევნებში გამარჯვება დასჭირდებათ," - განუცხადა ფანჯიკიძემ "24 საათს".

"ლეიბორისტ" გიორგი გუგავას სიის პირველ ნომრად დავით ბაქრაძის დანიშვნა არ უკვირს, ხოლო ვანო მერაბიშვილის კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მიუღებლად მიაჩნია.

"დავით ბაქრაძე უკვე გასაგებია, რომ პოლიტიკური სათამაშოა და მიხეილ სააკაშვილი მას ისე გადაათამაშებს, როგორც სურს. მასზე განსაკუთრებული წარმოდგენა ჩვენს პარტიას არ აქვს. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, ჩვენ რომ ვცხოვრობდეთ ნორმალურ, ცივილურ, სამართლებრივ ქვეყანაში, მას პასუხს უნდა სთხოვდნენ იმ დანაშაულებისთვის, რაც ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე აქვს ჩადენილი. მაგრამ ამის დროც დადგება და ყველას მოეკითხება იმ რეპრესიული მანქანის შექმნისთვის, რასაც "ნაციონალური მოძრაობა" და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ჰქვია," - განუცხადა გუგავამ "24 საათს".

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ფიქრობს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ქვეყანაში არსებული ვითარებით და თავისი გაკეთებული საქმეებით ძალიან კმაყოფილია. როგორც ცისკარიშვილმა "24 საათს" უთხრა, მმართველი გუნდის საარჩევნო სიის პირველ ნომრად დავით ბაქრაძის, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ისევ მოქმედი პრემიერის ვანო მერაბიშვილის დასახელება სწორედ ამის მაჩვენებელია.

"მიხეილ სააკაშვილს უკიდეგანო ფანტაზია ამოეწურა და ამომრჩევლებს სიასთან და კანდიდატებთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს სთავაზობს. მათ მიერ დასახელებული პიროვნებები კი იმაზე მიუთითებენ, რომ ხელისუფლება გაკეთებული საქმეებით ძალიან კმაყოფილია. ისინი ამბობენ, გთავაზობთ იმავე სახეებს, ვინც გვყავს და ვისაც მოგწონთ, შემოხაზეთ ხუთი ნომერი," - აღნიშნავს ცისკარიშვილი.

ექსპერტ სოსო ცინცაძის აზრით კი, მერაბიშვილიც და ბაქრაძეც ძლიერი და ოპტიმისტური კანდიდატურები არიან.

"მათზე უკეთესს მე მათ გუნდში ვერც ვხედავ. არჩევნების შემდეგ მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად წარდგენა ბუნებრივია, რადგან ის უკვე მოქმედი პრემიერია და ამ პოსტზე მას მხოლოდ ორი თვით ნამდვილად არ დანიშნავდნენ. რაც შეეხება ბაქრაძეს, ის უკვე შემდგარი პოლიტიკოსია. კარგი არჩევანია, ორივე მათგანი ძლიერი და ოპტიმისტური ფიგურაა," - შენიშნავს ცინცაძე "24 საათთან" საუბარში.

მმართველ პარტიას, ისევე როგორც სხვა პარტიებს, ჯერ არ გამოუქვეყნებია იმ დეპუტატობის კანდიდატთა სრული ჩამონათვალი, რომლებიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიული სიით მიიღებენ მონაწილეობას. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის ვადა 1 სექტემბერს იწურება.

დავით ბაქრაძე 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც უძღვებოდა "ნაციონალური მოძრაობის" პარტიულ სიას, რის შემდეგაც ის პარლამენტის თავმჯდომარე გახდა. 2008 წელს ბაქრაძე მას შემდეგ შეირჩა მმართველი პარტიის სიის პირველ ნომრად, რაც პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მოულოდნელად უარი თქვა, "ნაციონალური მოძრაობის" პარტიულ სიას სათავეში ჩადგომოდა.

"ოცნება" 7-იანის გარეშე

პირველი გვერდიდან

ცესკო დაინტერესებული მხარეებისთვის დეტალურად აღწერს საარჩევნო ბლოკებისთვის რიგითი ნომრის მინიჭების პროცედურას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, თუ არჩევნებისთვის საარჩევნო ბლოკი შექმნეს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებმა, ბლოკის წესდებაში მათ უნდა მიუთითონ, რომელი პარტიის რიგითი ნომრით ისარგებლებენ, ხოლო ყველა სხვა საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი გამოვლინდება წილისყრით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, იმისათვის, რომ საარჩევნო ბლოკმა დაიტოვოს მასში შემავალი ერთ-ერთი სუბიექტის რიგითი ნომერი, ბლოკში შემავალ ყველა პარტიას მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში. წინაადმდეგ შემთხვევაში ბლოკის რიგითი ნომერი უნდა განისაზღვროს წილისყრით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 37 დღისა ანუ 25 აგვისტომდე.

"ეს საკანონმდებლო ნორმა 2007 წლიდან მოქმედებს. აღნიშნული საკითხი არ გამხდარა საარჩევნო დავის საგანი 2008-2010 წლების არჩევნების პერიოდში და არ ყოფილა საარჩევნო რეფორმებზე სამუშაო ჯგუფის განხილვის საგანი 2009 და 2010-2011 წლებში, როდესაც ახალი საარჩევნო კოდექსის მუშავდებოდა," - წერია განცხადებაში.

"ქართული ოცნების" მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, საარჩევნო ნომრად 7-იანის არმიცემის შემთხვევაში სახელმწიფოს ბიუჯეტიდან "ქართული ოცნებისთვის" სერიოზული მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოუწევს.

ხიდაშელი ამბობს, რომ კოალიციას საარჩევნოდ უკვე ყველაფერი დამზადებული აქვს: საარჩევნო ბანერები, პლაკატები, მაისურები, გაზეთები და თუ კოალიციის ნომერი შეიცვლება, მათ ყველაფრის დამზადება თავიდან მოუწევთ. მისივე განცხადებით, ცესკო-ს ასეთი გადაწყვეტილების მიღებისთვის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც 2010 წლის არჩევნებში მონაწილე გაერთიანებებს საკუთარი სურვილით საარჩევნო ნომრის ამორჩევა იმ შემთხვევაშიც შეეძლოთ, თუ ამ ბლოკში შემავალ ყველა სუბიექტს წინა არჩევნებში მონაწილეობა მიღებული არ ჰქონდა - ამ გაერთიანებებში შედიოდნენ ისეთი პარტიებიც, რომლებიც ახალი შექმნილები იყვნენ და 2010 წლამდე სხვა არჩევნებში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული.

ხიდაშელი ამბობს, რომ ცესკოს მხრიდან საარჩევნო ნომერზე პრობლემების შექმნას ერთადერთი მიზანი აქვს - მათ სურთ, წინასაარჩევნოდ "ქართულ ოცნებას" ხელი შეუშალონ.

შეფასებებს აკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელი თამარ ჩუგოშვილი ამბობს, რომ საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ჩუგოშვილის თქმით, ამ მუხლში არ იკითხება, რომ ბლოკის მიერ ამა თუ იმ პარტიის რიგითი ნომრით სარგებლობისთვის ბლოკში შემავალი ყველა პარტია ბოლო საპარლამენტო არჩევნების მონაწილე უნდა იყოს.

"ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ნორმა იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და ცესკო-ს შეუძლია ის სხვადასხვანაირად - ასეც განმარტოს და ისეც. ამ შემთხვევაში აკეთებს ისეთ განმარტებას, რომელიც არის ძალიან ვიწრო და რომელიც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებში არ შედის," - აღნიშნა ჩუგოშვილმა. მისივე თქმით, 2010 წელს, მსგავს სიტუაციაში ცესკო-მ განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და ამ ნორმას განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის აზრით კი, ცესკო-ს ბლოკ "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნებისთვის" საარჩევნო ნომრად 7-ის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი აქვს. თუმცა, ასეთ დეტალებთან დაკავშირებით პრობლემის შექმნა არ იქნება გამართლებული.

"ქართულ ოცნებას", ალბათ, უკვე აქვს სამუშაოები ჩატარებული და გარკვეული მასალები დაბეჭდილი," - განაცხადა გიგაურმა.

ძლიერმა სეტყვამ კახეთის სოფლები დააზარალა

გუშინწინ მოსულმა ძლიერმა სეტყვამ კახეთში გურჯაანის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონის სოფლები დააზარალა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ყველაზე მეტად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ბოლოკიანი დაზარალდა, სადაც მოსავლის 50 პროცენტი განადგურებულია.

სეტყვამ ზარალი მიაყენა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთსაც, სადაც მოსავლის, დახლოებით, 30 პროცენტი განადგურდა. დაზარალდა ყვარლის რაიონის რამდენიმე სოფელიც.

კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი სიბაშვილის ინფორმაციით, უკვე შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სეტყვის შედეგად მიყენებულ ზარალს დაითვლის.

24 საათი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ეუთო-ს დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს სწავლობს

პირველი გვერდიდან

შეხვედრები დელეგაციამ ცენტრალურ საარჩევნო და სიების დაზუსტების კომისიასთან შეხვედრით დაიწყო. თუმცა მთელი დღის მანძილზე ეუთო-ს წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. სიების დაზუსტების კომისიის ხელმძღვანელის მამუკა კაციტაძის თქმით, ეუთო ყოველთვის არის მნიშვნელოვანი ორგანიზაცია საარჩევნო და წინასაარჩევნო პერიოდში, მისი რეკომენდაციები და დასკვნები კი გადამწყვეტია არჩევნების ლეგიტიმაციის დროს.

"ლოგიკურია, რომ ეუთო შეხვედრებს იწყებს, ერთის მხრივ, ცესკო-სა და სიების დაზუსტების კომისიასთან. საუბარი შეეხო სიების დაზუსტების პროცესს, იმას, თუ რა ნოვაციები იყო, რა გავაკეთეთ ისეთი, რომ საზოგადოებაში სიების პრობლემა პირველობადაკარგულია," - ამბობს მამუკა კაციტაძე. მისივე თქმით, კომისიამ ეუთო-ს მიაწოდა ინფორმაცია სიების შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით. კერძოდ, ის, რომ დაახლოებით სამი მილიონ 600-ათასიან სიაში კომისიამ მილიონ 100 ათასზე მეტი შესწორება გააკეთა. 26 ათასი გარდაცვლილი სიიდან ამოიღო და 300 ათასზე მეტი საზღვარგარეთ გასული ქართველი აღწერა. კაციტაძის თქმით, სიების დაზუსტების კომისიის ინტერესებშია, არჩევნებთან დაკავშირებით ეს ავტორიტეტული ორგანიზაცია მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული კომისიის საქმიანობის შესახებ.

"ეუთო-ს დელეგაციის წევრებს მხოლოდ ერთი კითხვა დაებადათ: როგორ შევძელით ასეთ მოკლე დროში სიების დაზუსტება და მისი მენეჯმენტი. ეს ალბათ რიტორიკული კითხვა იყო," - განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

შეხვედრები გუშინვე გაგრძელდა იტალიის საელჩოში. არასამთავრობო ორგანიზაციები პირისპირ შეხვდნენ დელეგაციის წევრებს.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" დირექტორმა ეკა გიგაურმა განაცხადა, რომ საუბარი წინასაარჩევნო გარემოს შეეხებოდა. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე. გიგაურის თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდი ისეთ პროექტებს ახორციელებს, რომელიც დიდ ფინანსებს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ წინასაარჩევნოდ მოტივირებული ხარჯები უნდა შემცირდეს.

"ვისაუბრეთ მედიაგარემოზე და must carry-ის რეგულაციაზე. კარგია, რომ რეგულაციები ამოქმედდა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ის გაგრძელდეს არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში. ჟურნალისტების ზეწოლის ფაქტებზე გავამახვილეთ ყურადღება. განსაკუთრებით ასეთი ფაქტებია რეგიონებში. კითხვები ეუთო-ს დელეგაციის წევრებმა სწორედ ამაზე დაგვისვეს," - ამბობს ეკა გიგაური.

წინასაარჩევნო გარემოზე ინფორმაცია ეუთო-ს მისიამ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისგანაც მიიღო. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, ეუთომ მათგან ამომწურავი ინფორმაცია მოისმინა. ჩუგოშვილის თქმით, საუბარი შეეხო იმ ჯარიმებს, რომელსაც აუდიტის სახელმწიფო სამსახური პოლიტიკურ პარტიებს უწესებს. მისივე განცხადებით, ეუთო-ს მხრიდან კითხვები ძირითადად საარჩევნო პერიოდში სასამართლოს როლს ეხებოდა. ასევე იმას, თუ რამდენად აქვთ პირებს შესაძლებლობა, სასამართლოს მეშვეობით თავი დაიცვან.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია წინასაარჩევნოდ მედიის მუშაობით დაინტერესდა. დელეგაციის წევრები საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელს, ასევე მეცხრე არხის გენერალურ დირექტორს შეხვდნენ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი წინასაარჩევნოდ მუშაობის პრინციპებს არ შეცვლის. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი ლევან გახელაძე ამბობს, რომ მეორე არხზე ყველა საარჩევნო სუბიექტს მიეცემა დრო საკუთარი პროგრამის მოსახლეობისთვის გასაცნობად. ამასთან, პირველ არხზე დაგეგმილია წინასაარჩევნო დებატებიც.

"საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის საკმაოდ მკაცრი რეგულაციებია დაწესებული საარჩევნო კოდექსისა და მაუწყებლობის შესახებ კანონის მიხედვით. ჩვენ ამ საკანონმდებლო ჩარჩოებში ვიმოქმედებთ. სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. პირველ არხზე დაწყებული გვაქვს პროექტი, სადაც "მოამბეში" ყოველდღიურად საარჩევნო სუბიექტებს ვიწვევთ," - ამბობს ლევან გახელაძე.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას "მეცხრე არხის" გენერალურმა დირექტორმა კახა ბექაურმა იმ პრობლემების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელსაც არხი დაარსების დღიდან ხვდება. ბექაურის თქმით, დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ, გაუმჯობესდა თუ არა ვითარება მედიაში ბოლო პერიოდის განმავლობაში.

"მათ უკვე იცოდნენ, რომ ხელისუფლება "მეცხრე არხს" მუშაობისას პრობლემებს უქმნის," - დასძინა კახა ბექაურმა.

ირაკლი ალასანია ზუგდიდის კომბინატის დასახლების მცხოვრებლებთან

კოალიცია "ქართული ოცნების" ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ ზუგდიდში კომბინატის დასახლების მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრისას ალასანიამ "ქართული ოცნების" პროგრამაზე ისაუბრა და მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო.

"დღეს დავდივართ უბან-უბან, ვხვდებით ჩვენს მოქალაქეებს და ვუხსნით ერთს - ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სამართლიანობა აუცილებლად აღდგება და დაიწყება ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება შანსი, ქვეყნის განვითარების თანამონაწილე გახდეს. ჩვენ არ ვყოფთ ქვეყანას ჩვენიანებად და სხვისიანებად. ჩვენ ვართ ერთი ქვეყნის მოქალაქეები, ერთი ქვეყნის შვილები, ერთი რაიონის, ერთი ქალაქის შვილები და მხოლოდ თანადგომით შევძლებთ ჩვენი ქვეყნის რეალურად წინ წაწევას. ეს ესმის ყველას და მე ძალიან მიხარია, რომ ასეთ ხალხთან მაქვს ურთიერთობა და ამ ხალხის წარმომადგენელი ვიქნები პარლამენტში," - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ლევან ვეფხვაძე კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა

"ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის" ისნის მაჟორიტარობის კანდიდატი ლევან ვეფხვაძე ისანში კოოპერატიული ბინათმშენებლობის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა და მათს პრობლემებს ადგილზე გაეცნო. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, კოოპერატივში გაწევრიანებულმა ოჯახებმა ბინის მშენებლობაში თანხა გადაიხადეს, თუმცა მშენებლობა არ დასრულებულა და მათ ფართი არ დაკანონებიათ.

ლევან ვეფხვაძემ მოსახლეობას პარტიის პოლიტიკური პროგრამა გააცნო, რომლის მიხედვითაც, შიდა ვალის გასტუმრება და ოთხი წლის განმავლობაში ასი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა იგეგმება. ამისთვის ბიუჯეტიდან 170 მლნ ლარი გამოიყოფა.

"საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, რათა მოხდეს ფართის დაკანონება და შესაბამისად, დაზარალებულებს ექნებათ შესაძლებლობა, აბონენტებად დარეგისტრირდნენ და კომუნალური გადასახადები გადაიხადონ," - განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

"ქართული ოცნების" ლაბირინთები

მარი ახსიაშვილი

დებატები მხოლოდ სააკაშვილთან

კოალიაცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს დებატებში იწვევს. როგორც მან გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, ის მზად არის, სააკაშვილთან ერთად "ნაციონალური მოძრაობის" ნებისმიერ წევრთან გამართოს დებატები.

ივანიშვილი ამბობს, რომ, თავის მხრივ, ის მიიღებს შეთავაზებას "ლეიბორისტული" პარტიის, "ახალი მემარჯვენეებისა" და "ქრისტიან-დემოკრატებისგანაც", მაგრამ ერთი პირობით: ამ პარტიებმა უნდა აღიარონ, რომ ხელისუფლებასთან შეკრულები არიან და მის ინტერესებს გამოხატავენ.

"ჩვენ არ ვაპირებთ ხალხი მოვატყუოთ, ვითომ ოპოზიციასთან ვსაუბრობთ," - აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილის მიერ ნახსენებმა პარტიებმა საპასუხო განცხადება მალევე გააკეთეს. ოპონენტებთან სატელევიზიო დებატებში მონაწილეობისთვის მზად არიან პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და "ნაციონალური მოძრაობის" სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე. ამის შესახებ პარტიის სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა "ნაციონალური მოძრაობის" ოფისში განაცხადა.

რაც შეეხება "ახალ მემარჯვენეებს," პარტიის ლიდერის, დავით გამყრელიძის თქმით, ივანიშვილი საბაბს ეძებს, რომ დებატებს გაექცეს.

"ეს სპეციალურად მოგონილი საბაბია, რომ დებატებს გაექცეს. იცის, რომ ასეთ პირობებში დებატები არ შედგება. მას დაწერილი ტექსტის კითხვა უფრო უადვილდება. ჩვენ ვითხოვდით და ახლაც დაინტერესებული ვართ ნებისმიერ კონკურენტ პარტიასთან დებატების გამართვით," - განაცხადა გამყრელიძემ news.ge-სთან საუბრისას.

"ლეიბორისტები" კი, აღიარებენ "ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცოდვებს, ოღონდ ბიძინა ივანიშვილი გამოვიდეს იმ შუშის კოლბიდან და დათანხმდეს დებატებზე," - ასეთი პოზიცია აქვს "ლეიბორისტების" ერთ-ერთ ლიდერს გიორგი გუგავას.

ცვლილება მაჟორიტარებში

გუშინ "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ორი რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი წარადგინა. ცაგერში "ქართული ოცნების" სახელით საპარლამენტო მანდატისთვის ადგილობრივი ფერმერი მამუკა ჩაჩხიანი იბრძოლებს, ხოლო ახალქალაქში - სახალხო მოძრაობა "ჯავახკის" ხელმძღვანელი ნორიკ კარაპეტიანი.

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მოძრაობა "ჯავახკის" თავმჯდომარე ნორიკ კარაპეტიანმა უარი თქვა თავის ძველ შეხედულებებზე და ამჟამად მას ქართული სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო ღირებულებები აღარ გააჩნია.

"მათ ჰქონდათ გამონათქვამები, რომლებსაც ჩვენ და ჩვენი კოალიციის წევრები არ ვიზიარებთ. მან თავის ადრეულ გამონათქვამებზე განმარტება გააკეთა. მისი თქმით, ეს იყო გამოწვევა იმდროინდელი ხელისუფლებიდან და პასუხი რაღაც კითხვაზე," - განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ დღეს კარაპეტიანს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა აქვს, რომელიც მისაღებია ქართული სახელმწიფოსა და ქართველებისთვის.

ნორიკ კარაპეტიანი იყო 2010 წელს "ეროვნული მოძრაობა ჯავახკის" კონგრესის ერთ-ერთი ინიციატორი, სადაც გაჟღერდა შემდეგი მოთხოვნები:

1. ჯავახკელი პოლიტიკური აქტივისტების დაუყოვნებლივი გათავისუფლება;

2. არ შეეშალოს ხელი რეგიონულ თვითმართველობებს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულებაში;

3. სომეხთა კომპაქტური განსახლების ადგილებში სომხურ ენას მიენიჭოს რეგიონული ენის სტატუსი;

4. გაიცეს თანხმობა ჯავახკში სომხურ-ქართული უნივერსიტეტის შექმნაზე;

5. გადაწყდეს სომხური სამოციქულო ეკლესიის იურიდიული სტატუსის საკითხი საქართველოში და დაუბრუნდეს სომხური ეკლესიები.

არასამთავრობო ორგანიზაცია "მრავალეროვანი საქართველოს" თავმჯდომარე არნოლდ სტეფანიანის მტკიცებით, ნორიკ კარაპეტიანი რუსეთში არსებულ "ჯავახკთან" გაიგივდა, რომელმაც სხვადასხვა დროს არაერთხელ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ჯავახეთში, შესაძლოა, კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნას. რუსეთის "ჯავახკის" ორგანიზაციას უკავშირდება განცხადებები იმის შესახებაც, რომ თუკი საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, ჯავახეთი ავტონომიას მოითხოვს. იმას, რომ "ქართული ოცნების" ლიდერმა სწორედ ამ ჯგუფის წევრი დაასახელა მაჟორიტარობის კანდიდატად, არნოლდ სტეფანიანი არასწორ ინფორმაციას უწოდებს.

"ეს არის ორი სრულიად სხვადასხვა ორგანიზაცია. მეტიც, არსებობს რამდენიმე "ჯავახკი," მათ შორის, ერთი ვირტუალური ორგანიზაციაა. რუსეთის "ჯავახკის" ორგანიზაციაში სულ 2-3 ადამიანი მუშაობს, რომლებიც წარმოშობით ახალციხიდან არიან. მათ ახალქალაქში არც კავშირი აქვთ და არც ფილიალები," - ამბობს სტეფანიანი და განმარტავს, რომ ნორიკ კარაპეტიანი ადგილობრივ "ჯავახკს" წარმოადგენს, რომლის წევრიც რამდენიმე წლის წინ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატი და ახალქალაქის პოლიციის უფროსი სამველ პეტროსიანიც იყო.

"ამ "ჯავახკის" მიზნები მუდმივად ტრანსფორმირდებოდა. ყველაზე მწვავე და კრიტიკული ის ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს იყო. მას შემდეგ მუდმივად იცვლებოდა მისი მიზნები და დღეს, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ისინი რეგიონში სომხური ენის მნიშვნელობაზე, განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსა და ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობაზე საუბრობენ," - ამბობს, "ნეტგაზეთის" ინფორმაციით, "მრავალეროვანი საქართველოს" თავმჯდომარე.

გუშინვე, "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა თეთრიწყაროსა და თერჯოლის რაიონებში მაჟორიტარობის კანდიდატები შეცვალა. თეთრიწყაროში მამუკა აბულაძე შალვა ხაჭაპურიძემ ჩაანაცვლა, ხოლო თერჯოლაში ომარ ნიშნიანიძის მაგივრად ზაალ გოგსაძე იყრის კენჭს.

"მაჟორიტარი კანდიდატების ცვლილებები დასრულებულია. მაჟორიტარობის კანდიდატის შეცვლას აღარ ვაპირებთ," - განაცხადა ივანიშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე.

"ქართული ოცნების" თერჯოლის მაჟორიტარობის ყოფილი კანდიდატის ომარ ნიშნიანიძის თქმით, კოალიციის მაჟორიტართა სიაში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, მან პარტიულ სიაში გადაინაცვლა. "ნიუს.ჯი"-ს ინფორმაციით, ომარ ნიშნიანიძე ამბობს, რომ თერჯოლაში მისი კანდიდატურის გამოცვლით უწვეულო არაფერი მომხდარა.

"როდესაც მე დავიწყე საარჩევნო კამპანია, რამდენიმე კარგი შეხვედრა მქონდა. ვიღაცებმა დაინახეს, რომ შეიძლებოდა გამემარჯვა და არ არის გამორიცხული, რომ განგებ ჩამომაშორეს. მე გადავედი პარტიულ სიაში, რაც უფრო კარგია. წარმოშობით თერჯოლიდან ვარ. ზაალ გოგსაძისთვის კი თერჯოლა დედულეთია. პოლიტიკურ ბატალიებში ალბათ ის უფრო გამოცდილია, ვიდრე მე, და ამიტომაც მიიღეს ეს გადაწყვეტილება. მე მას მაქსიმალურად დავეხმარები. ჩვენ სკამებისთვის არ ვიბრძვით. ჩვენთვის მთავარი გამარჯვება და საქართველოს გადარჩენაა," - ამბობს ომარ ნიშნიანიძე.

ამ დროისთვის კოალიცია "ქართულ ოცნებას" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არ დაუსახელებია მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში. ბიძინა ივანიშვილის თქმით, ნინოწმინდასა და მარნეულში ისინი კანდიდატებს უახლოეს მომავალში წარადგენენ.

შეხვედრა ბურჯანაძესთან

ორი დღის წინ კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი ბიძინა ივანიშვილი "დემოკრატიული მოძრაობა - საქართველოს" ლიდერს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა. კოალიციის ცნობით, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მასზე პოლიტიკოსებმა ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაზე ისაუბრეს. მოგვიანებით, რუსთავში გამართული აქციის შემდეგ, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ბურჯანაძე ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსია და ყველანაირად ეცდება, მასაც მიეცეს სახელმწიფოს აღმშენებლობაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

"არ გამოვრიცხავ სამომავლოდ ბურჯანაძის პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობას და მისი ლიდერისთვის მაღალი პოსტის შეთავაზებას. ამ ეტაპზე არანაირი მოლაპარაკებები ჩვენ შორის არ მიმდინარეობს. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ნინო ბურჯანაძესთან. მანამდე ჩვენ გვქონდა შეხვედრის მცდელობა, თუმცა ეს ვერ მოვახერხეთ," - განაცხადა კოალიციის ლიდერმა.

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

ასანჯის მიმართვა ეკვადორის საელჩოს აივნიდან

სალომე ჭანიაშვილი

"ვიკილიკსის" დამფუძნებელმა ჯულიან ასანჯმა პრესისთვის განცხადება გააკეთა ეკვადორის საელჩოს აივნიდან, რომელსაც ის თავს 19 ივნისიდან აფარებს. ასანჯი ცდილობს, თავიდან აიცილოს დაკავება ბრიტანელი სამართალდამცავების მიერ და შემდგომ შვედეთში მისი ექსტრადაცია. იქ მას ელოდება სასამართლო გამოძიება სექსუალური დანაშაულების ბრალდებით.

სიტყვით გამოსვლისას 41 წლის ავსტრალიელმა, უპირველეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა ეკვადორის მთავრობას და მოსახლეობას იმისთვის, რომ მათ არ შეეშინდათ ეჩვენებინათ მთელი მსოფლიოსთვის თავიანთი ერთგულება ისეთი უნივერსალური ფასეულობებისადმი, როგორც არის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება. მან მადლობა გადაუხადა ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებსაც (რომელიც მან ანბანის მიხედვით ჩამოთვალა), მათ შორის - არგენტინას, ბრაზილიას და ჩილეს, რომელთა წარმომადგენლებიც ვაშინგტონში მიემგზავრებიან იმისთვის, რომ მიმდინარე სკანდალი ამერიკის ხელისუფლებასთან ერთად განიხილონ.

ასანჯმა ასევე ჩამოთვალა იმ ადამიანთა სია, რომლებიც, მისი აზრით, მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ხელისუფლების მიერ არიან დევნილები, თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების და სამოქალაქო პოზიციის გამო. მან ახსენა პანკ-ჯგუფი "Pussy Riot", რომლის სამ წარმომადგენელსაც პარასკევს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ჯულიან ასანჯმა მოითხოვა ბრედლი მენინგის განთავისუფლება, რომელსაც ბრალად ედება სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნება და ინფორმაციის გადაცემა "ვიკილიკსისთვის". მან ასევე მოითხოვა ბახრეინელი ბლოგერის ნაბილ რაჯაბის გათავისუფლება, რომელსაც სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, "ტვიტერზე" გაკეთებული კომენტარის გამო. ასანჯმა აშშ-ს პრეზიდენტს ბარაკ ობამას მიმართა მოთხოვნით, შეწყვიტოს "ვიკილიკსის" და პირადად ასანჯის დევნა.

"ვიკილიკსის საფრთხე - სიტყვის თავისუფლების და თანამედროვე საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის საფრთხეა. დადგა დრო, აშშ-ს ხელისუფლებამ გააკეთოს არჩევანი: დაუბრუნდება ქვეყანა იმ რევოლუციურ ღირებულებებს, რომელზეც აშენდა, თუ გადავარდება რეპრესიებისა და დევნის უფსკრულში, სადაც ჟურნალისტები და რიგითი მოქალაქეები შიშის ქვეშ იცხოვრებენ," - განაცხადა ასანჯმა.

განცხადება იმის შესახებ, რომ ჯულიან ასანჯი პრესისთვის განცხადებას გააკეთებდა, "ვიკილიკსმა" "ტვიტერზე" ხუთშაბათს გააკეთა. თავისთავად ასანჯის განზრახვა განსაკუთრებულ ინტერესს არ გამოიწვევდა, რომ არ ყოფილიყო მინიშნება იმის თაობაზე, რომ ის პრესას მიმართავდა ლონდონში, ეკვადორის საელჩოს კედლებთან, სადაც მოცემულ მომენტში ემალება ბრიტანულ ხელისუფლებას. საქმე ის არის, რომ ასანჯს მაშინვე დააპატიმრებენ ბრიტანელები, როგორც კი საელჩოს ტერიტორიას დატოვებს.

ბრიტანეთის პოლიცია ეკვადორის საელჩოსთან დილიდან მორიგეობდა, რის გამოც ბევრი დამკვირვებელი ეჭვობდა, რომ ასანჯი ვერ გაბედავდა, გაემართა რაიმე სახის აქცია შენობასთან. მართლაც, "ვიკილიკსის" დამფუძნებელმა გადაწყვიტა, პრესისთვის საელჩოს აივნიდან მიემართა.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, ქვეყნის პოლიციას და უსაფრთხოების არც ერთ სამსახურს უფლება არ აქვს, შეიჭრას რომელიმე ქვეყნის საელჩოს ტერიტორიაზე. თუმცა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ლონდონი იურიდიულად ვალდებულია, მოახდინოს ასანჯის ექსტრადაცია და რომ საელჩოს დიპლომატიური სტატუსი შესაძლოა გაუქმდეს. სამინისტროს განცხადებით, ეკვადორის გადაწყვეტილება ასანჯისთვის თავშესაფრის მინიჭებაზე ბრიტანეთის ხელისუფლების მომავალ ქმედებებზე გავლენას არ მოახდენს (ეს ცნობილია ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის).

ასანჯთან დაახლოებული წყაროს ცნობით, "ვიკილიკსის" დამაარსებელს ესმის სიტუაციის სერიოზულობა და მზად არის, დატოვოს ეკვადორის საელჩო და ჩაბარდეს შვედეთს, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება გარანტიას მისცემს, რომ მოგვიანებით ისინი ასანჯს აშშ-ს არ გადასცემენ.

შეწყვეტილებული თავდასხმა ინგუშეთში

პირველი გვერდიდან

აფეთქება დაკრძალვის ცერემონიის დროს, სწორედ იმ მომენტში მოხდა, როდესაც დაღუპულისთვის პატივის მისაგებად მისი თანამშრომლები მივიდნენ. ბომბის სიმძლავრე იყო დაახლოებით 10 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტით. აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა.

ამ ფაქტის გამო ინგუშეთის ხელმძღვანელმა იუნუს ბეკ-ევკუროვმა მთელ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. გაუქმებულია ყველა გასართობი ღონისძიება 22 აგვისტოს ჩათვლით.

ევკუროვმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ტერორისტული აქტი და შეიძლება, ილეზ კორიგოვი იმიტომაც მოკლეს, რომ შემდეგ მის დაკრძალვაზე აფეთქება მოეწყოთ. ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვებით კი, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ვინმე ინგუშეთში ბომბს დაკრძალვის დროს ააფეთქებდა. აქამდე ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთი რამ მართლაც არ გვახსოვს, ეს უფრო ავღანეთისა და პაკისტანის პრაქტიკას ჰგავს.

რეგიონის მეთაურის იუნუს-ბეკ ევკუროვის განცხადებით, ამ საზარელი გამოხტომით "ბოევიკებმა მთელ მოსახლეობას ნათლად დაანახეს, რომ მათთვის წმინდა არაფერია. ტერაქტის განხორციელება მუსულმანური სიწმინდის, ურაზა-ბაირამის დროს სხვა ყველაფერთან ერთად მკრეხელობაა."

ორშაბათს ინგუშმა სამართალდამცავებმა უკვე გამოაცხადეს თვითმკვლელი ტერორისტის სავარაუდო ვინაობა, თუმცა ეს საბოლოოდ მაინც გენეტიკურმა ექსპერტიზამ უნდა დაადასტუროს. მათი მონაცემებით, თავი აიფეთქა სუნჟენის რაიონის მკვიდრმა ჰამზათ ალდიევმა. ის, ისევე როგორც მისი ძმა, უკვე იძებნებოდნენ როგორც შეიარაღებული იატაკქვეშეთის მებრძოლები. სამართალდამცავებისვე განცხადებით, მათ უკვე დაადგინეს, რომ თავდასხმა მოანყო შეიარაღებული იატაკქვეშეთის ქვედანაყოფმა, რომელსაც მეთაურობს ასევე ძებნაში მყოფი არტურ გეტაგაჯევი. ისიც ქალაქ მალგობეკის მკვიდრია. გამომძიებლებმა დაახლოებით 4 საათში შეაგროვეს ნივთმტკიცებები აფეთქების ადგილზე, დანიშნულია ათობით ექსპერტიზა, რომ ტერაქტი მალე ოფიციალურად გაიხსნას.

ისე, ჩვენ ადრეც ხშირად ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ნებისმიერი ინციდენტის შემდეგ ძალიან სწრაფად დამნაშავეების ვინაობის გამოცხადება და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებების მითითება სერიოზულ ეჭვს იწვევს.

ინგუშეთში მომხდარ აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე დაღესტანში შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გახსნა მეჩეთში, რის შედეგადაც 8 ადამიანი დაიჭრა. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვალა. მეჩეთში რამადანის დასრულებას აღნიშნავდნენ. სამართალდამცავებმა იმავე მეჩეთში დამონტაჟებული მძლავრი ასაფეთქებელი მოწყობილობის გაუვნებელყოფა მოახერხეს. წინა კვირაში კი, კერძოდ, ოთხშაბათს ინგუშეთის ყველაზე დიდ ქალაქ ნაზრანში, ალკოჰოლური სასმელების მაღაზიასთან აფეთქება მოხდა. საბედნიეროდ, მას მსხვერპლი არ მოჰყოლია. სამართალდამცავების სიტყვებით, ეს ამ მაღაზიასთან პირველი აფეთქება არ არის. საერთოდაც, ინგუშეთში ამ ზაფხულს შეიარაღებულმა ინციდენტებმა საგრძნობლად იმატა.

კვირის ტერაქტში დაღუპულების ოჯახის წევრებს და დაშავებულებს დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გამოუყოფენ, შესაბამისად, 100 ათასი და 50 ათასი რუბლის ოდენობით. კომპენსაციას გასცემს ფედერალური ბიუჯეტიც, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შედარებით მძიმედ დაჭრილები - 4 ადამიანი ინგუშეთიდან და ერთი დაჭრილი გოგონა დაღესტნიდან საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თვითმფრინავით მოსკოვში გადაიყვანეს.

დავით მარსაგიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა

BP ულოცავს
დავით მარსაგიშვილს
ლონდონის 2012 წლის
ოლიმპიურ თამაშებზე
წარმატებით ასპარეზობას

bp

ოფიციალური პარტნიორი

20 აგვისტო

აფიშა

კინო

"ტედი"

რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
ამირანი - 13.15; 15.25; 17.35; 19.45;
რუსთაველი - 15.15; 17.30; 20.00; 22.30;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.30; 15.45; 19.30; 22.45
რუსთაველი - 12.00; 15.15; 19.00; 22.30

"ციდან სამ მეტრზე"

რეჟისორი: ფერნანდო გონსალეს მოლინა
როლებში: მარიო კასასი, მარია ვალვერდე, კლარა ლაგო, ალვარო სერვანტესი, ანდრეა დურო, ლუის ფერნანდესი
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 12.00; 22.54

"ადამიანი ობობა 3" - D3

რეჟისორი: მარკ უები
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ემა სტოუნი, რის ივანსი,
ემბეტ დევიდჩი, მარტინ შინი, სალი ფილდი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.15
რუსთაველი - 14.00; 17.15

"ფიფქია და მონადირე"

რეჟისორი: რუპერტ სანდერსი
როლებში: კრისტენ სტიუარტი, კრის ჰემსუორტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.45
რუსთაველი - 15.00; 20.00; 22.30

"რომის არდადეგები"

რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.00; 20.15; 22.45

გალერეა

თიბისი გალერეა
მამია მალაზონიას პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

ნიქოზის ანიმაციური ფილმების ფესტივალი

პირველი გვერდიდან

ნიქოზის ანიმაციური ფილმების ფესტივალი იმითაა გამორჩეული, რომ იგი არ წარმოადგენს ტრადიციული ფილმების კონკურსს, მას უფრო ხელოვნების ფორუმის სახე აქვს, რომლის მიზანი საზოგადოების მაღალ ხელოვნებასთან ზიარებაა. საფესტივალო პროგრამაში, ფილმების ჩვენებასთან ერთად, დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მასტერკლასები, კონცერტები. ანიმატორები თავად წარუდგენენ ფილმებს მაყურებელს და ისაუბრებენ ანიმაციის შესახებ და იმ ღირებულებებზე, რასაც ხელოვნების ეს დარგი ამკვიდრებს. ფესტივალის ერთ-ერთ ორგანიზატორის, რეჟისორ გელა კანდელაკის თქმით, ეს ის ადგილია, სადაც სტუმრები გვიზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს, გვაცნობენ სიახლეებს და ქართველ ახალგაზრდებს ერთობლივი პროექტების გაკეთებასაც სთავაზობენ.

გელა კანდელაკი: "ანიმაცია არ არის ნივთის გადაადგილება, ანდა ადამიანის მოძრაობის ჩვენება, მისი მიზანი ადამიანის სულის მოძრაობის ჩვენებაა. სამწუხაროდ, ბოლო დროს ანიმაციიდან განიდევნა თბილი გმირები, დაიკარგა სულიერება და სიკეთის ნაცვლად აგრესია იფრქვევა. მთელ მსოფლიოშია ამის კრიზისი. ჩვენი სტუდიაში "კვალი XXI" წელს მთავრდება მუშაობა ფილმზე "ვეფხვი და მოყმე". მინდა გითხრათ, მსოფლიოს გამოცდილი ანიმატორები ძნელად თუ გააკეთებდნენ იმას, რაც ჩვენი სტუდიის ანიმატორებმა შექმნეს". ნიქოზის ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ის ფილმები, რომლებიც ღრმა მხატვრული აზროვნებით და გამოსახვის ხერხებით გამოირჩევიან. ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველო ხდება



პაატა შენგელია "უკანასკნელი წერილი"

ისეთი ფორუმის ინიციატორი, სადაც მთავარი არა შეჯიბრი, არამედ ხელოვნების ზეიმია. აქ არ ხდება ვარსკვლავების თამაში, არამედ საქმიანი საუბარია ხელოვნებასა და ანიმაციაზე. ბევრმა მკითხა, როგორ გინდათ გაუძლოთ ასეთ ფესტივალს კომერციის გარეშე? მინდა გითხრათ, რომ ანიმატორები სულ სხვა სულიერების ადამიანები არიან, სხვა პრიორიტეტები აქვთ. მე ვსაუბრობ იმათზე, ვინც არა კომერციულ ფილმებს, არამედ ანიმაციურ სამყაროს ქმნიან. ეს კი აბსოლუტურად სხვა რამეა."

წელს ფესტივალის სტუმართა შორის ორი ოსკაროსანი რეჟისორია: ალექსანდრ პეტროვი და გარი ბარდინი რუსეთიდან. ასევე ირინა კოდიუკოვა და მიხეილ ალდაშინი ბელარუსიდან; სერგეი სერიოგინი - სუზდალის ფესტივალის დირექტორი, სტუდია "ანიმოსის" ხელმძღვანელები - თენგიზ სიმიონოვი და ნატალია ორლოვა, რუსეთიდან, ვოლფგანგ ბელინჰოფი (prof.dr.Wolfgang Belinhoff) - ფილოსოფოსი და კინომცოდნე, ვაიმარის ბაუჰაუსის უნივერსიტეტის პროფესორი; ადამ პტაკი - სტუდია "SE-MA-FOR"- ის დირექტორის მოადგილე პოლონეთიდან და პოლონელი რეჟისორი ვიტოლდ გიერცი (Witold Giersz).

რუსული სტუდია "ანიმოსი" ახალი პროგრამით წელს მეორედ მონაწილეობს ნიქოზის ფესტივალში, ისევე როგორც სტუდია "SE-MA-FOR"-ი. სემაფორი სხვა ფილმებთან ერთად წარმოგვიდგენს ფილმს ცნობილ ანიმატორზე ვლადისლავ სტარევიჩზე, რომელმაც პირველმა შექმნა თოჯინური ანიმაციის ტექნიკით სიუჟეტური ფილმები.

საფესტივალო დღიურში არსებობს სექცია "ჩემი არჩევანი", სადაც ბელორუსი რეჟისორი ირინა კოდაკოვა, გარდა საკუთარი ფილმისა, მაყურებლის წინაშე წარმოადგენს 5 ანიმაციურ ფილმს და ისაუბრებს იმაზე, თუ რითი არის ეს ფილმები გამორჩეული და რამ განაპირობა მათი ფესტივალზე ჩამოტანა. ანიმაციის ენასა და იდეოლოგიაზე ასევე ისაუბრებს გერმანელი ფილოსოფოსი და კინომცოდნე, პროფესორი ვოლფგანგ ბელინჰოფი. ასე რომ, ნიქოზის ხელოვნების სკოლის მოსწავლეებს, გორის რაიონის საზოგადოებას თუ ფესტივალზე ჩასულ ყველა სტუმარს მართლაც რომ საინტერესო შეხვედრები ელის.

ნიქოზის ფესტივალს წელს უკვე სამი მხარდამჭერი ჰყავს საერთაშორისო ფესტივალების სახით: სუზდალის, დრეზდენისა და ბულგარეთის ანიმაციური ფილმების ფესტივალები ნიქოზში თავის გამარჯვებულ ფილმებს გზავნიან, რასაც ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ შერჩეული ფილმებიც დაემატება.

ნიქოზის ფესტივალის მხარდამჭერები არიან ქართველი ხელოვანებიც. საფესტივალო დღეებში ნიქოზში გაიხსნება ლევან ხარანაულის გამოფენა, ჩატარდება ნანა ხუბუტიას და მისი მოწაფეების საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, დაგეგმილია შალვა მოსიძის გორის გოგონათა გუნდის კონცერტი და ანჩისხატის მგალობელთა გუნდის გამოსვლა.

გასულ წელს ნიქოზის ფეტივალის მასპინძლობა გორის გუბერნატორის აპარატმა აიღო თავის თავზე. მართალია, ზურაბ არსოშვილი დღეს გუბერნატორი აღარ არის, მაგრამ იმედია, "გუბერნია" ფესტივალის მიმართ ინტერესს კვლავაც გამოიჩენს, ხოლო დედაქალაქიდან ნიქოზში წასვლის მსურველთათვის კულტურის სამინისტრო სპეციალურ ტრანსპორტს გამოყოფს, რომელიც ყოველდღიურად, 09:00 საათზე გავა. ფესტივალზე დასწრების მსურველებმა სასურველია, წინასწარ გაიარონ რეგისტრაცია, რომელიც 25 აგვისტომდეა შესაძლებელი, რისთვისაც შეუძლიათ დაუკავშირდნენ ქეთევან ჭიტაძეს "ჩრდილების თეატრში" (ტელ. 593985699), ანდა Facebook-ზე დაეკონტაქტონ Budrugana Gagra-ს გვერდს.

ბრიტანელებს პიკასო არ ეთმობათ

როგორც "ბიბისი-ნიუსი" იტყობინება, დიდი ბრიტანეთის კულტურის მინისტრმა ედ ვეიზენმა დროებით აკრძალა ქვეყნიდან პაბლო პიკასოს ნამუშევრის "ბავშვი და მტრედის" გატანა. ეს ტილო ბრიტანეთის სხვადასხვა მუზეუმში 1974 წლიდან იფინებოდა, ხოლო 2012 წელს კრისტის აუქციონზე იგი უცხოელმა ხელოვნების მოყვარულმა იყიდა.

ნამუშევარი ბრიტანეთიდან 2012 წლის დეკემბრამდე არ გავა. აკრძალვის მიზეზი კი ისაა, რომ სურათს დიდი ბრიტანეთისათვის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ბრიტანეთის მუზეუმები წლის ბოლომდე შეძლებენ საჭირო თანხის მობილიზებას და სურათის გამოსყიდვას. უცნობია, თუ რა თანხა გადაიხადა პიკასოს ამ ნამუშევარში უცხოელმა მყიდველმა, იგი თავის დროზე 80 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

თუკი "ბავშვი და მტრედი" 2012 წლის დეკემბრამდე არავინ გამოისყიდა, შესაძლოა, ქვეყნიდან მისი გატანა კიდევ ნახევარი წლით აიკრძალოს. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს სურათი ბრიტანეთის მუზეუმებისათვის ძალიან ძვირადღირებულია და, სავარაუდოდ, მისი შეძენის უფლებას თავს ვერ მისცემენ.

"ბავშვი და მტრედი" 1924 წლიდან ინახებოდა კერძო ბრიტანულ კოლექციაში, 1947 წელს იგი მემკვიდრეობით ერგო კრისტაბელ ეიბერკონუეის, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ერთ-ერთმა მემკვიდრემ სურათი ნაციონალურ გალერეას გადასცა, რომლის ექსპოზიციასაც 1974-დან 2011 წლამდე ამშვენებდა. ამჟამად "ბავშვი და მტრედი" შოტლანდიაშია გამოფენილი.

ეს სურათი პიკასომ 1901 წელს, 19 წლის ასაკში შექმნა და იგი მხატვრის "ცისფერი პერიოდის" ერთ-ერთ პირველ ნამუშევრად ითვლება.

პიკასოს უცნობ ნამუშევრებთან დაკავშირებით კიდევ ერთი სიახლე გავრცელდა პრესაში: ინდიანას შტატში, ევანსვილის სახვითი ხელოვნების, ისტორიისა და მეცნიერების მუზეუმში პაბლო პიკასოს ნახატი "წითელ ქუდში მჯდომარე ქალი" იპოვეს. მუზეუმის საწყობში ნაპოვნ ტილოზე, ადგილობრივი პორტალი 14 News იტყობინება. ნამუშევარი მუზეუმში 1963 წლიდან ინახებოდა თუმცა, შეცდომით ის საწყობში მოათავსეს.ნამუშევარი მუზეუმს, ცნობილმა დიზაინერმა რაიმონდ ლოუიმ, სრულიად უსასყიდლოდ გადასცა. ნახატის გადაცემისას დოკუმენტებში გაურკვევლობა მოხდა, რის გამოც ის, პიკასოს შემოქმედებით აღფრთოვანებული უცნობი მხატვრის ნამუშევრად ჩათვალეს. მიუხედავად იმისა, რომ ტილოზე ავტორის, ანუ პიკასოს ხელმოწერა იყო, ის მაინც საცავში მოათავსეს. ნახატის აღმოჩენის შემდეგ, მუზეუმმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა, რადგან საჭირო პირობებს ვერ ქმნიან ასეთი ძვირფასი ტილოს შესანარჩუნებლად.

დავიწყეთ

პირველი გვერდიდან

ბოსნიის მოგონებები მოგვიანებით წამოვა. ჯერ რუმინეთს ვიხსენებთ. რუმინეთთან +16 ნორმალურია. ეს სხვაობა უფრო ბოლო წუთებზე დაჯდა და საქართველოს ნაკრები ცოტა სხვა, ოდნავ აზრზე მოსაყვან კალათბურთს თამაშობდა. ზაზა ფაჩულია არ იყო და რაღაცები გადაეწყო, რაღაცები შეიცვალა, იგორ კოკოშკოვი იმპროვიზაციით აგვარებდა პრობლემებს. და პრობლემები იყო. მოსაგვარებელი, ერთჯერადი პრობლემები. რუმინეთთან 80:64 რუმინეთისთვისაც საკმარისია და ჩვენთვისაც. ფაჩულია დაისვენებს, უკეთესი გარჩევებისთვის უკეთ იქნება და ნაკრებიც ბოლომდე გაიშლება. 16 ქულით მოგება ჩვენია და უნდა მივიღოთ. პოზიტივში ნეგატივის მოძებნა ზედმეტია. და ზედმეტად ქართულია. ნაკრებმა საკვალიფიკაციო ციკლი მოგებით დაიწყო და ეს მშვენიერია. კოკოშკოვმა პირველ ხუთეულში პირველი ხუთი კაცი დასვა. პირველ ნომერზე გიორგი ცინცაძე, შუთერად მანუჩარ მარკოიშვილი, უნივერსალი გრძელი ხელებით ვიკა სანიკიძე, მიხაილ პროხოროვის ახალი ფორვარდი თორნიკე შენგელია და ცენტრი. მეხუთე ნომერზე გიორგი შერმადინი იდგა. შერმადინი იდგა და ფაჩულია იქვე იყო. რუმინეთის პირველი, მეორე, რომელიმე ხუთეულის წარდგენა და რუმინელ ბიჭებზე საუბარი ცოტა უადგილოა. მიღებული ინფორმაცია თქვენთვის არასაკმარისი და უინტერესო იქნება.

კოკოშკოვმა 29 წუთი მისცა ჯეიკობ პულენს და ამ ნაკრების შემონდ უილიამსი ცუდი არ იყო. 19 ქულა, ნორმალური (14/7) პროცენტი თამაშიდან, საინტერესო, ოდნავ ქუჩური კალათბურთი და ენერგია. პულენი დაცვაში შეცდომებს უშვებდა, დაზღვევაზე არ ადიოდა და ამის მოგვარება შეიძლება. ცოტა მეტი დრო ნაკრებში, ცოტა მეტი დრო კოკოშკოვთან ერთად და ახალი ქართველი მოუმატებს. კომპლექსურად, ნაკრებთან ერთად. პულენი ამ ეტაპზე საკმარისია და სლოვენიისთვის, შემდეგი ევრობასკეტისთვის, სხვა ვარიანტებზე საუბარი ჯერ ადრეა. ჯეიკობმა საქმე გააკეთა და კოკოშკოვმა ყველაფერი მოინიშნა. Great.

ბოლო ორ თვეში გაიშალა, ზედმეტად გაპიარდა თორნიკე შენგელიას თემა. კი, შენგელიამ აკრიფა და მოუმატა, მიიღო კონტრაქტი ამერიკულ კლუბთან და დიდი პერსპექტივა აქვს. თორნიკე უმატებს და რუმინეთთან ნორმალური, ამ ეტაპზე კოკოშკოვისთვის საკმარისი იყო. ის ჯერ არ არის ვარსკვლავი და თუ პოტენციალის გამოყენებაში ხელს არ შევუშლით, კარგი იქნება. სტატისტიკა თოკოზე არ მუშაობს და შენგელიაც არ იშიფრება სტატისტიკით. ნაკრებში თორნიკეს სხვა მუღამი და სხვა როლი აქვს. ამერიკაში სხვა დატვირთვები იქნება. ის ბევრ რაღაცას აკვირდება, სწრაფად ითვისებს და თუ რუმინეთთან შაკის სტატისტიკა ვერ დასვა, ქართულად ნუ გვეწყინება. შენგელიამ ჩასაგდები ჩააგდო, ის სამიანი მნიშვნელოვანი იყო, დაცვაში თავიდან აიჭრა და მალე დამშვიდდა. მერე უფრო მშვიდი იქნება.

შერმადინი ბოლომდე არ ცვლის ფაჩულიას. ცვლის ნომინალურად, პოზიციით და რეალურად სხვა საქმეს აკეთებს. გიოს აკლია ზაზას წონა და ქარიზმა და შერმადინი სწრაფი აზროვნებით იღებს ასაღებს. პირველ ტაიმში გიოს ის სლემი ნამდვილად კარგი იყო. გიოც მოუმატებს. სტაბილური საშუალო, სწრაფი, მოქნილი აზროვნება შერმადინში დიდი დოზითაა. მწვრთნელებმა ეს იციან და შერმადინი საჭირო პერსონაჟია.

გიორგი შერმადინი ზაზა ფაჩულიას ცვლის

მანუჩარ მარკოიშვილი ნაკრების სტაბილიზატორია. ისმენს, ითვისებს, აკეთებს და ისვენებს. კლასიკური ფორმულა კლასიკური პროფესიონალისთვის. მარკოიშვილმა ვერ ჩააგდო საშუალო (4/0) და გაუშვა სკადები 7 და მეტი მეტრიდან. მარკოიშვილმა 7 სამიანიდან 4 ათიანში დასვა და სხვა ამბებშიც ბონუსები აკრიფა. 5 მოხსნა, საჭირო 5 მოხსნა. 4 პასი, 3 ჩაჭრა, აგრესიული და აკურატული დაცვა. მანუ ბევრ რაღაცას ასწრებდა. კოკოშკოვი მარკოიშვილის ნიჭში ნდობას ხედავს. ჩვენც.

რუმინეთმა 18 მოხსნა ჩვენი ტერიტორიიდან წამოიღო. რუმინეთი 18 მოხსნას არ უნდა იღებდეს და თუ მაინც 16 ქულას ვიგებთ, ეს ერთჯერადი მოდუნებაა. ფაჩულიასთან ერთად, სამწამიანში ნაკლები მოსახსნელი რჩება და ფაჩულიას მეორე გუნდის მაღალი ტიპებიც ერიდებიან. ზაზა იქ, თავის ზონაში, ავტორიტეტია. ეს პრობლემაც შეიძლება მოგვარდეს. ნაკრების თამაშში მინუსის მოძებნა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ აზრი? ამას ჩვენზე უკეთ კოკოშკოვი გააკეთებს და ჩვენ შედეგს მივიღებთ. იგორ კოკოშკოვი კარგი მწვრთნელია.

გიორგი ცინცაძემ სროლის სელექცია და პროცენტი გამოასწორა. ნაკრების ძირითადი ფლეიმეიქერი ხანდახან ნორმალური იყო. რამდენჯერმე აკრიფა, ნორმალურად იჯდა დაცვაში. ცინცაძე და პულენი ერთმანეთს ვერ ავსებენ. შეიძლება არც შეავსონ და ეს აუცილებელი არ არის. საკვალიფიკაციოში "ლეიკერსის" შოუთაიმის გარეშეც გავქაჩავთ. გიორგი 9-10 ქულას და რამდენიმე პასს დატოვებს, ნაკლებ შეცდომას დაუშვებს და პულენიც უფრო უკომპლექსოდ, თავისუფლად შეუბერავს. კარგი მიქსტი იქნება.

და კარგი მიქსტი იქნება ნაკრებიც. ვიკა სანიკიძეზე წერა სულ სასიამოვნოა. სანიკიძე ორმაგი დუბლის ტიპია. "სიენაში" ახალი კალათბურთი და ძველი ვიკა წამოვა. სანიკიძემ 10 მოხსნა მშვიდად აკრიფა, მოეშვა და დაისვენა. ბოსნიასთან და ლატვიასთან ვიკა უფრო აქტიური იქნება და ეს ნორმალურია. ბოსნია არ არის რუმინეთი და იქ მირზა ტელეტოვიჩი დგას. პირველ ორ გარჩევაში ტელეტოვიჩი საშუალოდ 28.5 ქულას იღებს. სოლიდურია. იქ სხვებიც ქმნიან პრობლემებს და ეს პრობლემები ჩვენმა ლიდერებმა უნდა მოაგვარონ. სანიკიძემაც. რაღაც თვალსაზრისით, სხვაზე უფრო ვიკამაც.

რუმინეთთან, ძირითადად, ექვსმა კაცმა ითამაშა. ეპიზოდებში დაიტვირთა ბესიკ ლეჟავა და ბესო გამოსაყენებელი ელემენტია. ალბათ, ერთადერთი ამ ქართულ გენერაციაში, რომელიც მოძრაობაში, აწეული ისვრის სამიანს. თავისი მუღამები ბესოსაც გამოსასწორებელი აქვს. ამას მიხედავენ. კოკოშკოვის ასისტენტმა დავით უსტიაშვილმა იცის, რაც ლეჟავამ იცის და კოკოშკოვამდე ინფორმაციას მიიტანს. სხვებიც მიიღებენ წუთებს და ყველას თავისი როლი ექნება. რუმინეთთან +16 კარგი იყო. თუ პიჟონური პონტების ნახვა გინდათ, ძველ დისკებს და კასეტებს ჩაუჯექით, კლაიდები და დომინიკები რომ ერთობიან. თქვენც გაერთობით.

ბოსნიამ ორივე ტესტი მოიგო. ლატვიასთან რთული იყო და ლატვია ჩვენი, ბოსნიის, ტელეტოვიჩისა და ფაჩულიას დონეა. ბიედრინსთან თუ მაღალი ბიჭის გარეშე ლატვია კალათბურთს გემოვნებით თამაშობს და იცის, როდის არ უნდა დაიღალოს. ბოსნიამაც.

რაღაცები მოვინიშნე. საინტერესო იყო.

1. აზერბაიჯანში კალათბურთის თამაში მოდაშია. აზერბაიჯანმა ბულგარეთს 88:73 აუწია ყური და ბულგარეთმა კიდევ ნორმალურად, რესპექტაბელურად წააგო. აზერბაიჯანმა ამერიკელი ჩარლი დევისი წამოიყვანა. ლუქსემბურგთან ბიჭმა 20 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა დასვა. ბულგარეთთან უფრო მეტი - 30 ქულა, 7 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 პასი. აზერბაიჯანი კალათბურთს უკვე კალათბურთით თამაშობს. ადრე ბაქოში კალათბურთი ბეისბოლი იყო. დღეს ბაქოში კალათბურთი თითქმის კალათბურთია. პროგრესი. Nice.

2. ტელეტოვიჩი ცუდი კაცია. ბოსნიაც ცუდი ბანდაა. იქ კალათბურთს პატივს სცემენ და ტელეტოვიჩი ძალიან კარგი კალათბურთელია. ყოველთვის იყო. ტელეტოვიჩი ბოსნიაში ფაჩულიაა. ეს პრობლემა მოსაგვარებელია. ტელეტოვიჩი არითმიით და გემოვნებით აკეთებს საქმეს. სერიოზულია. მირზა is THE MAN.

3. ისრაელმა ისრაელში ესტონეთი ვერ გაშიფრა. წავიდა დამატებით დრო და იქ დამატებითმა ესტონეთმა დამატებითი ისრაელი მუხლებზე დააყენა. ესტონეთმა 88:86 დასვა და ორ თამაშში ორი მოგება აქვს. კარგი სტარტია. ისრაელში ომრი კასპიმ 23 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი დაიტოვა. ისრაელს ეს არ ეყო.

D ჯგუფი

15.08

რუმინეთი-ჰოლანდია.....**90:84**
28:27, 17:18, 25:18, 20:21
რუმინეთი: მოლდოვეანუ (16+9 პ), დრაგუშინი (14+7 მ).
ჰოლანდია: ნორელი (27+6 მ), დე იონგი (14+6 მ).

ბოსნია-ლატვია **87:84**
23:22, 18:16, 23:29, 23:17
ბოსნია: ტელეტოვიჩი (24+8 მ), რაითი (20+11 მ+4 პ), კიკანოვიჩი (18+7 მ), დედოვიჩი (15+7 მ+4 პ+3 ჩ).
ლატვია: შტრელნიეკსი (18+5 მ), მეიერსი (13+6 მ), ბერტანსი (13+5 მ), ბერზინსი (10+11 მ).

18.05

საქართველო-რუმინეთი..**80:64**
24:18, 20:21, 16:10, 20:15
საქართველო: პულენი (19+2 პ), მარკოიშვილი (14+5 მ+4 პ), შერმადინი (13+7 მ), სანიკიძე (12+10 მ+2 პ+2 ჩ), შენგელია (9+9 მ+2 პ), ცინცაძე (9+3 პ+3 ჩ), მეტრეველი (2+6 მ), ლეჟავა (2).
რუმინეთი: ბაჩუ (19+10 მ), მოლდოვეანუ (17+11 მ).

ჰოლანდია-**ბოსნია** **89:107**
24:26, 26:25, 14:39, 25:17
ჰოლანდია: ნორელი (17+9 მ), დე იონგი (16), სმიოლდერსი (13+7 მ).
ბოსნია: ტელეტოვიჩი (33+6 მ+4 ჩ), დედოვიჩი (28+7 მ+3 პ), პერშიჩი (14), რაითი (13+5 პ+4 მ), კიკანოვიჩი (11+6 მ).

D ჯგუფი

1. ბოსნია	**2:0**	**194:173**	**4**
2. რუმინეთი	1:1	154:164	3
3. საქართველო	**1:0**	**80:64**	**2**
4. ჰოლანდია	0:2	173:197	2
5. ლატვია	0:1	84:87	1

ფელპსს მედლებს ედავებიან და ვერც ედავებიან

გიგა გურასაშვილი

ოლიმპიური თამაშების 18-გზის ჩემპიონს, მთლიანობაში კი 22 ოლიმპიური მედლის მფლობელ ამერიკელ მოცურავეს მაიკლ ფელპსს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საერთაშორისო ოლიმპური კომიტეტის (სოკ-ი) სარეკლამო რეგლამენტის დარღვევისთვის ლონდონის ოლიმპიურ აუზში მოპოვებული მედლების ჩამოერთვით ემუქრებიან.

ABC News-ის ცნობით, ფელპსისთვის მედლების ჩამორთმევის მიზეზად სახელდება ფრანგული სამოდელო სახლის - "ლუი ვიტონის" ფოტოსესიაში მონაწილეობა.

საქმე ისაა, რომ სოკ-ის რეგლამენტით "წესი ნომერი 40"-ის თანახმად, ოლიმპიელებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ 18 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით ისეთ კომერციულ აქციებში, რომლებსაც თავის მხრივ არ აქვთ კავშირი თამაშებთან.

რეგლამენტის დამრღვევთათის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის სასჯელი - ფულადი ჯარიმებიდან დაწყებული მოგებული მედლების ჩამორთმევით დამთავრებული, მაგრამ...

მაიკლ ფელპსის აგენტი პიტერ კარლაილი უარყოფს მოცურავესთვის მედლების ჩამორთმევის შესაძლებლობას, აქაოდა ჩემს კლიენტს არანაირი წესი თუ რეგლამენტი არ დაურღვევიაო.

ლატინინასთან ფოტოსესია ფელპსისთვის თავისტკივილად იქცა

კარლაილის თქმით, სპორტსმენს საკუთარი ფოტოების გამოქვეყნების უფლება არავისთვის არ მიუცია. "წესი ნომერი 40" კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ირღვევა თუ ათლეტი შეგნებულად მონაწილეობს სარეკლამო კამპანიაში.

"ჩვენ ეს ფოტო გამოსახულებები განსახილველადაც არ მიგვიღია. არაფერს ვამბობ, მის დამტკიცებაზე, - ვითარებაში გვარკვევს ფელპსის აგენტი. - სპორტსმენს არ შეუძლია კონტროლი გაუწიოს საკუთარი ფოტოების არასანქცირებულად გამოყენებას. მსგავსი რამ იმდენჯერ ხდება ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას, რომ მათ დასათვლელად თითები არ გვეყოფა. არის კომპანიები, რომლებზეც უბრალოდ არაფერი არ ვიცით. მსგავსი რამ მუდმივად ხდება".

"ლუი ვიტონმა", რომელიც ტანსაცმლის, აქსესუარებისა თუ ჩანთების წარმოებითაა ცნობილი, ხუთშაბათს ბევრ ჟურნალ-გაზეთში გამოაქვეყნა 18-გზის ოლიმპიური ჩემპიონის მაიკლ ფელპსისა და საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ცხრა გზის ოლიმპიური ჩემპიონის ლარისა ლატინინას ფოტოები.

ფოტოები, რომლებიც გადაიღო ცნობილმა ამერიკელმა ფოტოგრაფმა ენი ლეიბოვიცმა, ფელპსი და ლატინინა დივანზე მსხდომნი არიან აღბეჭდილნი.

77 წლის ტანმოვარჯიშე ნაცრისფერ პიჯაკში ფინჯანი ყავით ხელშია აღბეჭდილი, ხოლო 27 წლის მოცურავე მის გვერდზე ზის შავ კოსტიუმში გამოწყობილი. დივანთან ხალიჩაზე დევს "ლუი ვიტონის" კლასიკური ყავისფერი ჩანთა, ხოლო მეორე ფოტოზე საცურაო ბილიკების ბატონ-პატრონი აბაზანაშია აღბეჭდილი.

...მაიკლ ფელპსმა ლონდონში ოლიმპიური ოქროს მედლები დაისაკუთრა 100 მეტრზე ბატერფლაიში, 200 მეტრზე კომპლექსურში, 4X200 თავისუფალსა და 4X100 კომბინირებულ ესტაფეტაში. ვერცხლის მედლები კი დაისაკუთრა 200 მეტრზე ბატერფლაისა და 4X100 თავისუფალში.

თვითმკვლელი ფეხბურთელები

ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და პრიმერაში დაბრუნებული "ვალიადოლიდის" 20 წლის ფეხბურთელმა მადრონო ხორხე ანდრესმა უიღბლო სიყვარულის გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ეს ინფორმაცია გამოცემა Halacelta.com-მა გაავრცელა.



მადრონო ხორხე ანდრესმა უიღბლო სიყვარულის გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

თვითმკვლელობის მიზეზად ფეხბურთელის მეგობრები უიღბლო სიყვარულს ასახელებენ. "ყველას გეხვევით", - დაწერა "ტვიტერში" ანდრესმა თვითმკვლელობამდე ერთი დღით ადრე. მანამდე მან დატოვა კიდევ რამდენიმე მესიჯი, რომლებიდანაც ჩანს, რომ მეგობარ გოგონასთან დაშორებამ ის დეპრესიაში ჩააგდო.

თანამედროვე სპორტში სუიციდის პრობლემა ძალზე აქტუალურია. არც ისე იშვიათად პროფესიონალი სპორტსმენები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ. მიზეზი ხან ოჯახური პრობლემაა, ხან - ჩაწყობილი თამაშები.

წლეულს, აპრილში, ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებაში ბრალდებულმა და ფეხბურთიდან სამუდამოდ მოკვეთილმა სამხრეთკორეელმა ფეხბურთელმა ლიუ გუნ ხვანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 24 წლის ფეხბურთელი თავისი სახლის სახურავიდან გადმოხტა. ეს კორეაში ჩაწყობილ თამაშებში ეჭვმიტანილი ფეხბურთელების თვითმკვლელობის მესამე შემთხვევა იყო. გასული წლის მაისში თავი მოიკლა 29 წლის ჩჟონ ჩონ კვანმა, ოქტომბერში კი - ერთ-ერთი კლუბის მწვრთნელმა ლი სუ ჩხოლმა.

მიმდინარე წლის აპრილში მაკედონაში ძალზე პერსპექტიულმა მსაჯმა პეტრ ვოლიანოვსკიმ მოიკლა თავი.

29 წლის არბიტრს მომავალი სეზონიდან მაკედონიის უმაღლესი დივიზიონის მატჩები უნდა ემსაჯა, მაგრამ, ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მას მაკედონიის ფეხბურთის ფკედერაციასთან გაურთულდა ურთიერთობა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად უკავშირდება არბიტრის თვითმკვლელობა ფეხბურთს, თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება - 29 წლის მსაჯმა სიცოცხლესთან ანგარიში გაასწორა.

კიდევ უკფრო ადრე, კერძოდ, მარტში, თავი მოიკლა უნგრული საფეხბურთო კლუბის, "რეაკის" 48 წლის პრეზიდენტმა რობერტ კუტასიმ. როგორც ამბობენ, კუტასი უაღრესად პატიოსანი ადამიანი იყო. თავად სუფთა თამაშის პრინციპებს ნერგავდა და როდესაც შეიტყო, რომ მისი გუნდის ფეხბურთელების დიდი ნაწილი ჩაწყობილ თამაშებში იყო მხილებული, თავი მოიკლა.

28 თებერვალს ხსენებული კლუბის 67 ფეხბურთელი ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებაში დაადანაშაულეს და კიდევ 25 ადამიანთან ერთად დაკავეს. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელებს ბრალი დასდეს, კლუბის ოფიციალურ პირებს უბრალო პრრეტენზიებიც კი არ წაუყენეს, თუმცა, კუტასიმ, რომელიც უნგრულ ფეხბურთში კორუფციასთან ბრძოლის მედროშედ ითვლებოდა, ბრალდებები თავის თავზე მიიღო და საბოლოოდ საქმე ტრაგიკულად დასრულდა. თვითმკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე კუტასიმ ადგილობრივი მედიისთვის მიცემულ კომენტარში განაცხადა: "ჩემი ცხოვრება დასრულებულია".

გასული წლის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული თვითმკვლელობა კი, ცხადია, უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, გერი სპიდის შემთხვევაა. ის თავის სახლში იპოვეს მკვდარი.

"ლიდსის", "ევერტონის", "ნიუკასლისა" და "ბოლტონის" ყოფილმა ფეხბურთელმა თავი ჩამოიხრჩო. მალე პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ 42 წლის სპიდი ტრაგიკული შემთხთვევის მსხვერპლია.

კიდევ ერთი ცნობილი ფეხბურთელი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, გერმანიის ნაკრების მეკარე რობერტ ენკეა. 2009 წლის ნოემბერში ენკე მატარებელს ჩაუვარდა. მოგვიანებით ფეხბურთელის ქვრივმა ტერეზამ განაცხადა, რომ მისი ქმარი ქრონიკული ფსიქიკური აშლილობით იყო დაავადებული. რობერტს ეშინოდა, რომ თუ ეს საქვეყნოდ გახდებოდა ცნობილი, მას და მის მეუღლეს ნაშვილებ გოგონას ჩამოართმევდნენ და თვმითმკვლელობის მიზეზიც ეს იყო. ენკეების წყვილს ბიოლოგიური ქალიშვილი ამ შემთხვევამდე სამი წლით ადრე, გულის ავადმყოფობით გარდაეცვალა. როგორც ენკეს მკურნალი ექიმი ამბობდა, პრობლემები რობერტს ჯერ კიდევ 2003 წელს დაეწყო, როდესაც "ბარსელონას" ძირითადში დაკარგა ადგილი.

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge